ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საკონკურსო კომისიის

განცხადება

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით, აცხადებს შიდა კონკურსს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე.

შიდა კონკურსი ცხადდება პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო დაწესებულების ან/და ამ დაწესებულების სისტემის მასშტაბით და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს იქ დასაქმებულ მოხელეს.

კანდიდატმა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის ww.hr.gov.ge მეშვეობით.

განცხადებები მიიღება 2021 წლის 30 მარტიდან 2021 წლის 3 აპრილის ჩათვლით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსის ვაკანსიაზე განაცხადის გაკეთების დროს კანდიდატმა შესაბამის ველებში უნდა ატვირთოს:

ა) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

შიდა კონკურსის ეტაპებია:

- განცხადების გადარჩევა
- გასაუბრება

კანდიდატი, რომელიც განაცხადის გადარჩევის საფუძველზე ვერ დააკმაყოფილებს დადგენილ საკონკურსო მოთხოვნებს, ასევე, სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების წარმოუდგენლობის/არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას.

შიდა კონკურსის მეორე ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას გასაუბრების საფუძველზე, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მოხელის შეფასების შედეგები.

კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობის გათვალისწინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების, ასევე ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ კანდიდატებს ეცნობებათ განაცხადში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.